



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

30.03.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	პროგრამული ინჟინერია
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	პროგრამული ინჟინერიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0613 -პროგრამული უზრუნ- ველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	N/A
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 8/2/2012 #300

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ია მოსაშვილი, სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
--	---

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა ხაჩიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ რუხაია, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ღულუნიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამა „პროგრამული ინჟინერია“, რომელიც აკრედიტებულია 2012 წელს, ფარავს 120 კრედიტს და მისანიჭებელი კვალიფიკაციაა პროგრამული ინჟინერიის მაგისტრი, რომელიც მიიღწევა სასწავლო კურსების დასრულებისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შედეგად. პროგრამის რეაკრედიტაციაზე განაცხადის შემოტანამდე, პროგრამას ჰყავდა ერთი ხელმძღვანელი, თუმცა თვითშეფასების ჯგუფის გადაწყვეტილებით, პროგრამა წარმოდგენილია ორი ხელმძღვანელით. პროგრამაში განხორციელებულია ძირეული ცვლილებები სასწავლო კურსებთან მიმართებაში, კერძოდ, შემოტანილია ახალი სასწავლო კურსები და არსებული სასწავლო კურსები განახლებულია. წარმოდგენილი პროგრამა და სილაბუსები, თვითშეფასება და რეაკრედიტაციის თანდართული დოკუმენტაცია მომზადებულია მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა კონტიგენტი დაბალია, მიუხედავად იმისა, რომ მიღება ცხადდება მხოლოდ 10 სტუდენტზე. უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელს, აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტები არ მიუღიათ. მაღალია სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა პროცენტული მაჩვენებელი და ძალიან დაბალია კურსდამთავრებულთა რაოდენობა. მიუხედავად ამისა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და მათ შორის მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებულთა საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს პროგრამის საჭიროებაზე. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ისევე, როგორც მოწვეული კვალიფიციური პერსონალი ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან ერთად.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „პროგრამული ინჟინერია“ შეფასება განხორციელდა დისტანციურ რეჟიმში. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა ელექტრონული ფორმატით 2021 წლის 12 თებერვალს. შეხვედრები გაიმართა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან (ცალკე მაგისტრანტების ხელმძღვანელებთან), სტუდენტებთან, კურსდამთავრებულეთა და დამსაქმებლებთან (მათ შორის სტაჟირების განმახორციელებლებთან). ვიზიტისას განხორციელდა შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული სამაგისტრო ნაშრომების გადახედვა, ონლაინ რეჟიმში იქნა დათვალიერებული პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გადამოწმდა ბიბლიოთეკის რესურსები. შეხვედრების დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები გაეცნოთ დაწესებულების წარმომადგენლებს.

შეხვედრები დასრულდა დროულად და ჩაიარა მშვიდ გარემოში, უნივერსიტეტმა დღის ბოლოს ელექტრონულად წარმოადგინა ექსპერტთა მიერ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „პროგრამული ინჟინერია“ სტანდარტების მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მხოლოდ მეორე სტანდარტი არის მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

- რეკომენდებულია, შემუშავდეს „პროგრამული ინჟინერიის“ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სრულყოფილი დეტალური გეგმა უნივერსიტეტში მოქმედი დებულებების შესაბამისად;
- რეკომენდებულია, პროგრამის შემუშავებაში/მოდულიზაციაში უშუალოდ იყვნენ ჩართული სტუდენტები და კურსდამთავრებულები;
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა იყოს ღია და წვდომადი სტუდენტებისათვის;
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების სტრუქტურა იყოს დაცული;
- რეკომენდებულია, სამაგისტრო თემის შერჩევის პროცედურა გაიწეროს ცხადად;
- რეკომენდირებულია, გამოცდის ჩატარების პროცესში დაცული იყოს ანონიმურობის პრინციპი და სტუდენტთა იდენტიფიცირება არ მოხდეს საგამოცდო ნამუშევრის შემოწმებისას;
- რეკომენდირებულია, პლაგიატზე ნაშრომის შემოწმებისას სტუდენტებს ჰქონდეთ დამოუკიდებლად საცდელი ვერსიის ატვირთვის შესაძლებლობა პლაგიატის პროგრამაში;
- რეკომენდირებულია, სტუდენტებს ჩაუტარდეთ გაცნობითი შეხვედრა, რომელიც მიაწოდებს ინფორმაციას არსებული სერვისების შესახებ, გააცნობენ სტუდენტთა შეფასების წესსა და სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციას;
- რეკომენდებულია, შემუშავდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისების პოლიტიკა ტრენინგებში მონაწილეობისათვის;
- რეკომენდებულია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო აქტივობებში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ✓ სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაემატოს ინფორმაცია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღების შესახებ;
- ✓ სასურველია, დაემატოს კვლევაზე ორიენტირებული საგნები, თუნდაც არჩევით ბლოკში;
- ✓ სასურველია, დაემატოს დარგის კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული საგანი (ან თუნდაც სხვადასხვა საგნებში ამ თემატიკის საკითხები);
- ✓ სასურველი იქნება, თუ პროგრამასა და სილაბუსებში შემღებებისდაგვარად გამოყენებული იქნება ტერმინები ქართულ ენაზე;

- ✓ სასურველია სამაგისტრო ნაშრომები შემოწმდეს ხელმძღვანელის მიერ ენობრივი თვალსაზრისითაც;
- ✓ სასურველია აქტიურ პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის მექანიზმის შემუშავება;
- ✓ სასურველია, სტუდენტთა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვა, მაგალითად თვითშეფასების ჯგუფი შედგებოდეს ასევე სტუდენტი წევრისგან;
- ✓ სასურველია კურსდამთავრებულებთან კავშირის გაძლიერება მათთვის სხვადასხვა პროექტების და დასაქმების შესაძლებლობის შეთავაზება;

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

-

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამული ინჟინერიის მიმდინარე პროგრამაში განხორციელებულია ძირეული ცვლილებები, კერძოდ: საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით განახლებულია პროგრამა და სასწავლო კურსები: პროგრამის მიზნები და შედეგები, სასწავლო კურსებში მეტი პრაქტიკული კომპონენტებია შეტანილი, განახლებულია მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, დანერგილია სწავლებისა და შეფასების ელექტრონული ინსტრუმენტები, მოქმედებს პლაგიტზე შემოწმების მექანიზმი. ცვლილებები განხორციელდა პროგრამის განმახორციელებელთა შორისაც, კერძოდ, პროგრამას დაემატა სამეცნიერო მიღწევების მაღალი მაჩვენებლების მქონე ხელმძღვანელი, ასევე დარგში დასაქმებული პრაქტიკული უნარების მქონე განმახორციელებელი პერსონალი. სამაგისტრო ნაშრომს სტუდენტი ასრულებს უშუალოდ პრაქტიკის ობიექტზე, შესაბამისად, მისი სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს სამაგისტრო პროექტსაც, რომელსაც ხელმძღვანელობს სამაგისტრო პროექტის ხელმძღვანელი. მას შემდეგ, რაც რეალურად ეს პროცესი განხორციელდება, აღნიშნული საუკეთესო პრაქტიკადაც კი შეიძლება განვიხილოთ.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
<p>პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამაგისტრო პროგრამის: „პროგრამული ინჟინერია“ მიზანია, მოამზადოს დარგის მზარდ მოთხოვნებზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი პროფესიონალი, რომელიც პასუხობს სფეროში არსებულ გამოწვევებს და ღრმა და სისტემური თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ შეუძლია სხვადასხვა სფეროში არსებული გამოწვევის/პრობლემის ეფექტურად გადასაჭრელად კომპლექსური პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების დამოუკიდებლად შემუშავება, განვითარება, ტესტირება, შეფასება და ინოვაციური მეთოდებით მართვა, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე; ○ შეუძლია პროფესიული დარგის განვითარებაში წვლილის შეტანა, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება და შედეგების დაცვა/დასაბუთება ეთიკური ღირებულებების და სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით. <p>მიზნები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და ცხადად აღწერს იმ ძირითად ცონას, უნარსა და კომპეტენციას, რაც უნდა გააჩნდეს „პროგრამული ინჟინერიის“ სპეციალისტს მაგისტრატურის საფეხურის დასრულების შემდეგ. პროგრამის მიზანში გაკეთებული აქცენტი ინოვაციებზე შეიძლება ჩაითვალოს კურსდამთავრებულის უნარად წვლილი შეიტანოს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სამაგისტრო პროგრამა „პროგრამული ინჟინერია“
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია 5 პუნქტის სახით, რომლებიც აერთიანებენ ცოდნა/გაცნობიერებას, უნარებს, ავტონომიურობასა და პასუხისმგებლობას:

„კურსდამთავრებულს:

1. აქვს პროგრამული ინჟინერიის უახლესი თეორიების, პროგრამების, მართვის მეთოდოლოგიებისა და საერთაშორისო სტანდარტების ღრმა და სისტემური ცოდნა;
2. აქვს პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების დიზაინის შემუშავების, პროგრამების ტესტირების, ვერიფიკაცია-ვალიდაციის, განვითარების, დანერგვის და მართვის უნარი;
3. აქვს უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით პროგრამული ინჟინერიის დარგში არსებული პრობლემის/გამოწვევის ანალიზის, შეფასების და პროგრამული უზრუნველყოფის სანდო, ეფექტიანი და ინოვაციური გადაწყვეტილების შემუშავების უნარი;
4. აქვს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით საკუთარი დასკვნების, დასაბუთებული არგუმენტებისა და კვლევის შედეგების წარდგენის უნარი აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე, როგორც ვერბალურად, ისე წერილობით, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით;

5. შეუძლია დარგისთვის რელევანტური უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის, კვლევებისა და ახალი ტექნოლოგიური მიღწევების მოძიება და შესწავლა საკუთარი პროფესიული განვითარების საჭიროებიდან გამომდინარე.“

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს რიგი დოკუმენტები, რომლებიც სრულად აღწერენ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სრულ პროცედურებს - მონაცემების შეგროვება, ანალიზი, რაეგირება და ა.შ.

კონკრეტულად სამაგისტრო პროგრამისათვის „პროგრამული ინჟინერია“ დოკუმენტში „სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები“ წარმოდგენილია მხოლოდ თითოეული შედეგის სამიზნე ნიშნული ყოველგვარი დეტალიზაციის გარეშე. არაა წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრულია უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული წესის („საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი“) თანახმად.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა 2012 წლიდან ხორციელდება აკრედიტირებულ რეჟიმში, წარმოდგენილ მასალებში უშუალოდ „პროგრამული ინჟინერიის“ პროგრამასთან დაკავშირებული შეფასებები მიმოხილვით ხასიათს ატარებს და არაა რაოდენობრივი შეფასება. ამის მიზეზად დასახელდა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მცირე რაოდენობა - მონაცემთა სიმცირე არ იძლევა ანალიზის საშუალებას. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (რომლებიც დიდი რაოდენობითა განხორციელებული) მეტწილად გარე შეფასებას და საერთაშორისო გამოცდილებას ეფუძნება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სამიზნე ნიშნულები და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები.

რეკომენდაციები:

- ✓ რეკომენდებულია, შემუშავდეს „პროგრამული ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სრულყოფილი, დეტალური გეგმა უნივერსიტეტში მოქმედი დებულებების შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტირებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p>
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაში დეტალურადაა გაწერილი პროგრამაზე დაშვების პირობები: „სამაგისტრო პროგრამაზე: “პროგრამული ინჟინერია” მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე. პროგრამაზე დაიშვებიან აპლიკანტები, რომელთაც მოპოვებული აქვთ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (სასურველია, თუმცა არა სავალდებულო ინფორმატიკის, ინფორმაციული სისტემების, კომპიუტერული მეცნიერების, კომპიუტერული ინჟინერიის, მათემატიკის და/ან მომიჯნავე მიმართულებით) და ფლობენ ინგლისურ ენას B2 დონეზე. ინფორმაცია მისაღები გამოცდების პირობების, მოთხოვნების, შეფასების კომპონენტების და კრიტერიუმების შესახებ დეტალურად მოცემულია „პროგრამაზე მიღების დოკუმენტში“ და თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში” მიღება”. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ქართულენოვანია, სასურველი იქნება, თუ იარსებებს ჩანაწერი უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვის შესახებ.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დოკუმენტი; ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.iliauni.edu.ge.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაემატოს ინფორმაცია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღების შესახებ.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა „პროგრამული ინჟინერია“ აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად უნივერსიტეტს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესების და ნორმატიული დოკუმენტების სრული პაკეტი, რომელიც სასწავლო პროგრამის ყველა კომპონენტის შემუშავება/განვითარების პროცედურებს განმარტავს.

სამაგისტრო პროგრამა „პროგრამული ინჟინერია“ ფორმალური წესებით სრულად შეესაბამება ამ მეთოდოლოგიებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში მეტნაკლებად იყო ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე, კერძოდ, არ ყოფილა სტუდენტთა ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში, რაც ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, როგორც თვითშეფასების ჯგუფის მიერ, ასევე სტუდენტთა მიერ. უნივერსიტეტი ატარებდა სტუდენტთა გამოკითხვებს და ამ გამოკითხვების შედეგების შესაბამისად ითვალისწინებდა პროგრამაში განსახორციელებელ ცვლილებებს, რაც სტუდენტთა მხრიდან მომდინარეობდა. იგივე ითქმის კურსამთავრებულზე. რაც შეეხება დამსაქმებლებს, ისინი იცნობენ პროგრამას და გამოიკვეთა მათი აქტიური ჩართულობა პროგრამის შემუშავებისას, კერძოდ, პროგრამის შემუშავების პროცესში უნივერსიტეტის მიერ განხორციელდა შრომის ბაზრის კვლევის შედეგების შემუშავება, რაც შემდომ გამოყენებული იქნა პროგრამის შემუშავებაში. ასევე, გათვალისწინებულ იქნა დარგში არსებული მიღწევები და საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილებები.

პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. სტრუქტურულად პროგრამა წარმოდგენილია ორ სასწავლო წელზე განაწილებული 120 ECTS საერთო მოცულობის საგანთა ერთობლიობით, რომელთაგან:

- სავალდებულო კურსების ბლოკი - 66 კრედიტი
- არჩევითი კურსების ბლოკი - 24 კრედიტი
- სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი

პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები დალაგებულია ლოგიკურად წინაპირობების დაცვით. პროგრამის შინაარსობრივი ნაწილი აგებულია დარგის თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად. თანმიმდევრული და მოქნილია. ძალზე დიდია პრაქტიკაზე ორიენტირებული სასწავლო კომპონენტების სიმრავლე. თითქმის არაა წარმოდგენილი დარგის კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული საგანი (ან თუნდაც სხვადასხვა საგნებში ამ თემატიკის საკითხები).

სასურველი იქნებოდა კვლევაზე ორიენტირებული საგნების დამატება, თუნდაც არჩევით ბლოკში.

სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა სტუდენტებს მიეწოდებათ უშუალოდ ხელმძღვანელის მიერ. მათი შერჩევის პროცედურა ბუნდოვანია. ასევე, სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა მკაცრად უნდა იყოს დაცული სტუდენტის მიერ, რაც მას დეტალურად უნდა გააცნონ. სამაგისტრო ნაშრომის შემუშავება და გაფორმებასთან დაკავშირებით წესები გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში, თუმცა არის დეტალები, დაკავშირებული სამაგისტრო თემის შერჩევის პროცედურასთან, რაც საჭიროებს მეტ სიცხადეს. არსებული პროცედურებიდან არ ჩანს სად, როდის და როგორ ირჩევენ სტუდენტები სამაგისტრო თემებს.

მთლიანობაში პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისობაშია.

- მიმდინარე პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- კომპეტენციების რუკა;
- პროგრამის კურსების კატალოგი და სემესტრული გადანაწილება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, პროგრამის შემუშავებაში/მოდულიზაციაში უშუალოდ იყვნენ ჩართული სტუდენტები და კურდამთავრებულები;
- რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა იყოს ღია და წვდომადი სტუდენტებისათვის;
- რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომების სტრუქტურა იყოს დაცული;
- რეკომენდირებულია, სამაგისტრო თემის შერჩევის პროცედურა გაიწეროს ცხადად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ დაემატოს კვლევაზე ორიენტირებული საგნები, თუნდაც არჩევით ბლოკში;
- ✓ დაემატოს დარგის კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული საგანი (ან თუნდაც სხვადასხვა საგნებში ამ თემატიკის საკითხები).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „პროგრამული ინჟინერია“ სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს; თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს; აგრეთვე თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს.

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას.

- წარმოდგენილი სასწავლო კურსები არის თანამედროვე და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. როგორც გასაუბრებიდან იკვეთება, სასწავლო კურსების შინაარსი შედგენილია უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიური კურსების

შესაბამისად და ამავდროულად, საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე დაყრდნობით. სილაბუსების ავტორები, რომელთა უმრავლესობას აქვს დარგში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება, ადასტურებს, რომ შემუშავებული სასწავლო კურსები მოარგეს დღევანდელ მოთხოვნებს. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით ჩანს, რომ კვლევით ნაწილში, შერჩეული თემატიკა მომდინარეობს შრომის ბაზრიდან და ორიენტირებულია გამოყენებითი ხასიათის კვლევებზე. ასევე, თანამედროვეა მითითებული ლიტერატურა, რომელიც ხელმისაწვდომია თითოეული სტუდენტისათვის, როგორც უშუალოდ ბიბლიოთეკაში, ასევე ონლაინ რეჟიმში. უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტი, რომ სილაბუსებში გამოყენებულია ბევრი ინგლისურენოვანი ტერმინი, რაც შესაძლებელია ყოფილიყო წარმოდგენილი ქართულადაც (მაგ. ინტეგრაცია, სისტემა, რეგრესია - სასწავლო კურსის „პროგრამული უზრუნველყოფის ვალიდაცია და ვერიფიკაცია“; სასწავლო კურსის დასახელება „დიზაინის პატერნები“ და სხვ.). იგივე ტენდენცია შეიმჩნევა სამაგისტრო ნაშრომებში. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს და ასევე დასტურდება გასაუბრებით, სამაგისტრო ნაშრომს ენობრივი თვალსაზრისით შეფასებას უკეთებს რეცენზენტი, თუმცა კარგი იქნება თუ მისი შემოწმება მოხდება ხელმძღვანელის მიერაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის კურსების კატალოგი და სემესტრული გადანაწილება;
- კომპეტენციების რუკა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველი იქნება, თუ პროგრამასა და სილაბუსებში შეძლებისდაგვარად გამოყენებული იქნება ტერმინები ქართულ ენაზე;
- სასურველია სამაგისტრო ნაშრომები შემოწმდეს ხელმძღვანელის მიერ ენობრივი თვალსაზრისითაც.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამა „პროგრამული ინჟინერია“ საფუძვლიანად განსხვავდება იგივე დასახელების წინა პროგრამისაგან. მასში გათვალისწინებულია დარგის მოთხოვნები და პრაქტიკულ უნარებზეა ორიენტირებული, რასაც უზრუნველყოფს ინოვაციური ტექნოლოგიების ლაბორატორია და მომავლის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია უნივერსიტეტში არსებულ სხვა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან ერთად. ინტერვიუს დროს, ნათლად გამოჩნდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ჩართულობა ამ ლაბორატორიების საქმიანობაში, ასევე, რამდენიმე სტუდენტმა აღნიშნა, რომ კონკრეტული ამოცანების განხორციელებისას აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ ლაბორატორიული რესურსი, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ მათი აქტიურობა დაბალია. დამსაქმებლები მჭიდროდ თანამშრომლობენ და ჩართული არიან სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტის განხორციელების პროცესში, ასევე, გაფართოებულია სამეცნიერო კვლევითი ნაწილი. სამაგისტრო ნაშრომს ჰყავს სამაგისტრო პროექტის

ხელმძღვანელი, რომელიც არის დარგის სპეციალისტი ორგანიზაციიდან, სადაც სტუდენტი ახორციელებს სამაგისტრო ნაშრომს. სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით პროგრამის განხორციელებაში ჩართული მაღალი კლასის მეცნიერები უზრუნველყოფენ სტუდენტთა ხელმძღვანელობას და მათ ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით გრანტებში. წარმოდგენილ პროგრამას ჯყავს ორი ხელმძღვანელი, რომელთაგან ერთი სამეცნიერო მიმართულებით გეგმავს გააძლიეროს მუშაობა, რაც გამოიკვეთა ინტერვიუების დროს. დღეის მდგომარეობით, მიმდინარე პროგრამას ეს უპირატესობები არ გააჩნია. სტატისტიკური მონაცემებით სტუდენტთა ჩართულობის შესახებ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, ამ პროგრამის სტუდენტები არ გამოირჩევიან, თუმცა არსებული რესურსი, რომელიც უნივერსიტეტმა პროგრამა „პროგრამული ინჟინერიისთვის“ შეკრიბა, იძლევა სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარების შესაძლებლობას. უნივერსიტეტის გამოცდილება ამ მიმართულებით ბოლო წლების განმავლობაში დადებითი დინამიკით გამოირჩევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- ინოვაციური ტექნოლოგიების ლაბორატორია Unilab <http://unilab.iliauni.edu.ge/>
- მომავლის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია FabLab <https://fablab.iliauni.edu.ge/>
- გამოთვლითი ცენტრის დებულება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა და მათი ჩართულობა სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტის განხორციელების პროცესში.

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამისთვის „პროგრამული ინჟინერია“, თითოეული სასწავლო კურსისათვის სწორადაა შერჩეული სწავლის მეთოდები. ეს მეთოდებია: ლექცია და სემინარი, ანალიზი და სინთეზი, დისკუსია/დებატები, შემთხვევის ანალიზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, პრაქტიკული მუშაობის მეთოდი, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მეთოდი, ლაბორატორიული მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, პროექტი, პრეზენტაცია, მოდელირება, სუპერვიზია. ყველა ეს მეთოდები სხვადასხვა სასწავლო კურსებშია გადანაწილებული კურსის საჭიროებებიდან გამომდინარე. სწავლა-სწავლების შერჩეული მეთოდები შეესაბამება სასწავლო კურსების მოთხოვნებს. ექსპერტთა მხრიდან არსებული კითხვები განიმარტა სილაბუსების ავტორთა მიერ ინტერვიუების დროს სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგალითად, რატომ იყენებდა სილაბუსის ავტორი ლაბორატორიულ მეცადინეობას და არა პრაქტიკულს. სილაბუსის ავტორებმა დასაბუთებულად ახსნეს კურსისთვის სწავლების მეთოდების საჭიროება და აუცილებლობა სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე. პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და დგება ინდივიდუალური გეგმები. სტუდენტი საკონსულტაციო შეხვედრების დასაგეგმად იყენებს სისტემა „არგუსს“ ან საუნივერსიტეტო ელ.ფოსტას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- სისტემა „არგუსი“;
- გამოკითხვების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამას განსაზღვრული აქვს სტუდენტის სწავლის შედეგების (მიღწევების) შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით. სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით (ბრიუსელი, 2005.14.02), „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით (2004.21.12) და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3; 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების 100 ქულიანი სისტემით,

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტის ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტური სისტემა. სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს. შუალედური შეფასება მოიცავს: შუალედურ გამოცდას, მიმდინარე შეფასებებს და შეფასების სხვა კომპონენტს, რომელიც შეირჩევა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით და აისახება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. კრედიტის მისანიჭებლად მინიმალური ქულა არის 51. აღნიშნული ქულა შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა ჯამისაგან. ამასთან სტუდენტს გადალახული უნდა ჰქონდეს შუალედური და დასკვნითი შეფასებებისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრები. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

საგამოცდო ნაშრომების შესწორებისას სტუდენტის სახელი და გვარი დატანილია ნაშრომზე რაც გამსწორებელს/ლექტორს საშუალებას აძლევს დააიდენტიფიციროს თუ ვის ნაშრომს ასწორებს. „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი“-ის მარეგულირებელ დოკუმენტში არ არის განსაზღვრული შედეგების ელექტრონულ სისტემაში, „არგუსი“-ში ასახვის პერიოდი. მაგისტრატურის სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში მიღებული შუალედური ან/და დასკვნითი შეფასებები შედეგის გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, რასაც დეკანის ბრძანების საფუძველზე განიხილავს დარგის სპეციალისტი ან საპრეტენზიო კომისია. საპრეტენზიო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ სამი პირისაგან. აღნიშნულ დოკუმენტს და სილაბუსებში სტუდენტის მიერ FX შეფასების მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. თუმცა აღნიშნული არ ვრცელდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, პროგრამული ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებობს „სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია“, რომელშიც განმარტებულია სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მიზნით, გამოყენებული წყაროების დამოწმების ნორმები. ნაშრომები მოწმდება პლაგიატზე, Turnitin-ის მეშვეობით წინასწარ არ არის განსაზღვრული დამთხვევის პროცენტული ზღვარი. შეფასების მარეგულირებელ დოკუმენტში გვხვდება ჩანაწერი „პლაგიატი შეიძლება გახდეს სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მიერ კურსის/კომპონენტის ფარგლებში დაგროვებული ქულებისა და კრედიტების გაუქმების საფუძველი“, აღსანიშნავია რომ სტუდენტებს საცდელი ვერსიის

დამოუკიდებლად შემოწმების შესაძლებლობა არ აქვთ. ლექტორს/ხელმძღვანელს აქვს მხოლოდ შესაძლებლობა სისტემაში შეამოწმოს ნაშრომი და მისცეს მაგისტრანტს შესაბამისი მითითებები საბოლოო წარდგენისთვის/დაცვისთვის. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების მარეგულირებელი დოკუმენტი აგრეთვე ითვალისწინებს ხელმძღვანელი შეფასებას(20 ქულა), სამაგისტრო ნაშრომის პროექტის ხელმძღვანელის შეფასებას(20 ქულა), რეცენზენტის შეფასებას(30 ქულა), სამაგისტრო ნაშრომის დაცვას(30 ქულა).

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია მარეგულირებელ წესსა და სილაბუსებში რაც ნიშნავს იმას რომ სტუდენტები წინასწარ ინფორმირებული არიან თუ როგორ მოხდება მათი შეფასება სასწავლო კურსის ფარგლებში.

- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს, მათ არ გამოუხატავთ უკმაყოფილება სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პედაგოგის მიხრიდან უკუკავშირის მიღების თაობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი;
- პროგრამის სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- „ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

